ZIHLSN-6

# შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

შ.პ.ს ,,ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო“

20.01.2023.

შესავალი........................................................................................................................3

შრომისუსაფრთხოებისპოლიტიკისმიზნები..................................................................3

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა..4

საფრთხის იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრა...........................................................................................................................6

რისკის მართვის ძირითადი ეტაპები.................................................................................6

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს სტრუქტურული განაწილება ................6

შრომის უსაფრთხოების სამსახური/სპეციალისტები ახორციელებენ................................7

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–ს ხელმძღვანელი....................................8

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს ხელმძღვანელების მოვალეობები........9

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' განყოფილების უფროსები ...................10

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს მუშა-მოსამსახურეები..........................11

სხვა პირები სამუშაო ადგილზე.........................................................................................11

ინდივიდუალური და კოლექტირუი დაცვის საშუალებები............................................11

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს ტერიტორიაზე გადაადგილება...........11

საშიში საწარმოო ფაქტორების თავიდან არიდება.......................................................11

შეუსაბამობის მართვა, მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებები....11

ინციდენტის გამოძიება, შეუსაბამობა, მაკორექტირებელი და პრევენციული ქ.............12

ინციდენტების (უბედური შემთხვევების) გამოძიება........................................................12

მონიტორინგი და ანგარიშგება........................................................................................13

პირველადი დახმარება ....................................................................................................13

სწავლებები და პროფესიული მომზადება.....................................................................13

დისციპლინარული პოლიტიკა .........................................................................................14

შესავალი

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო“ განთავსებულია ქ.ზუგდიდი - ონარია

დაწესებულების საქმიანობა:

1.ინფექციური სნეულებების სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება

2.გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება

3.რენდგენოდიაგნოსტიკა (რენდგენოგრაფია )

4.ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა

5. ლაბორატორიული მომსახურება

კლინიკაში ძირითადად გამოიყენება ერთჯერადი სამედიცინო დანიშნულების საგნები. არის კონტეინერები სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებისთვის. გვაქვს ხელშეკრულება შ.პ.ს ,,ეკომედთან: ( B ნარჩენების გატანა). A ნარჩენების გატანა ზუგდიდ–დასუფთავების სამსახურთან .

დაწესებულებაში დასაქმებულია 47 თანამშრომელი.

დირექტორი თორნიკე ჯანაშვილი

დაწესებულების ს/კ (219999009)

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო’’-ს ხელმძღვანელობა ქმნის და ინარჩუნებს შესაბამის უსაფრთხო სამუშაო გარემოს პაციენტებისა და პერსონალისათვის. შესაბამისი სამუშაო გარემო წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას როგორც მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე პერსონალის მოტივაციისათვის. ამიტომ, თანამშრომლების სამუშაო ადგილი მუდმივად მოწმდება შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ. გაითვალისწინება სამუშაო პირობებში ჰაერის საჭირო ტემპერატურის, დამტვერიანების, განათების, ვენტილაციის, აგრეთვე, შრომის უსაფრთხოების მხრივ თანამშრომელთა პოტენციური რისკის ფაქტორები, სპეციფიკური სამუშაოები (გამოსხივება, ქიმიკატები), სოციალური პირობები, სანიტარულ-ჰიგიენური და ერგონომიკის მოთხოვნები.

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზანია, სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა,
შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საქმიანობის სხვა მიზნებთან გათანაბრებასა და თავსებადობას. ამასთან, დასახულეი მიზნების შესაბამისად, ვიღებთ ვალდებულებას დავაწესოთ მკაცრი კონტროლი შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტ და ჯეროვან შესრულებაზე; ჩვენი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები მოიცავს საავადმყოფოში მოქმედ წესებს და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესში დასაქმებულთა და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას.
შრომის უსაფრთხოებაზე მოთხოვნების დაცვა საავადმყოფოს ტერიტორიაზე სავალდებულოა, როგორც დასქმებულთათვის, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემსრულებლებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''-ს ტერიტორიაზე.

## შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''-ში შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' იღებს პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი ნორმების, ეროვნული თუ საწარმოო წესების შესრულების მიზნით აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა. საავადმყოფოს ხელმძღვანელი ვალდებულია მუდმივ რეჟიმში განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. შრომის უსაფრთხოების სიტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკას,
ორგანიზებას,
დაგეგმვას, დანერგვას,
შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს.

ამასთან, შრომის უსაფრთხოების სიტემა აგებულია შემდეგ მოდელზე (იხ. ცხრილი)

| PDCA | ქმედება |
| --- | --- |
| დაგეგმე PLAN | განსაზღვრე პოლიტიკა/დაგეგმე მისი დანერგვა |
| გააკეთე DO | გააანალიზე რისკები/მოახდინე შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზება/განახორციელე გეგმა |

| | | |
|---|---|---|
| შეამოწმე<br>CHECK | გაზომე შესრულების ხარისხი (აწარმოე დაკვირვება შემთხვევების არ არსებობისას, გამოიძიე შემთხვევები) |
| იმოქმედე<br>ACT | განიხილე შესრულეების ხარისხი/იმოქმედე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით |

საავადმყოფოს შრომის უსაფრხოებისა და ჯანმრთელბის დაცვის სისტემა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს
1. დასაქმებულთა ჯანმრთელობა;
2. დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება;
3. საყოფაცხოვრებო პირობები.

შესაბამისად, დასაქმებულთა ჯანმრთელობა შეიძლება მიჩნეულ იქნას დაავადებისა ან ავადმყოფობის არარსებობად. ჯანმრთელობა უკავშირდება როგორც სხეულს, ისე გონებას და მოიცავს ფიზიკურ (როგორიცაა სიმსივნე) და ფსიქიკურ (როგორიცაა სტრესი) ავადმყოფობას.
დასაქმებულთა უსაფრთხოება - სამუშაო ადგილის მდგომარეობა, რომელიც არ წარმოქმნის სხეულის დაზიანების რისკს.
საყოფაცხოვრებო პირობები - საბაზისო საყოფაცხოვრებო საშუალებებით უზრუნველყოფა. ეს საშუალებები მოიცავენ სასმელ წყალს, მოსასვენებელ ადგილებს, სანიტარულ-ჰიგიენურ ფართებს და სხვა.

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–მ დანერგა შრომის უსაფრთხოების სისტემა შემდეგი მიზეზების გამო:
1. მორალური მიზეზი - ადამიანებისთვის მორალურად მიუღებელია სამუშაოზე ყოფნის დროს ტრავმის მიღება. მომხდარი ფატალური უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები და მათი შედეგები წარმოადგენენ დასაქემბულთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის, საქმის პროდუქტიულად შესრულების ნაკლებობის მიზეზს.

ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნები - შრომის უსაფრთოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული რეგულაციები წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ ნორმებს და ჩვენი ორგანიზაცია მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

2. არაფინანსური ხარჯები - გააზრებული გვაქვს მორალური პასუხისმგებლობა, რომ შრომის უსაფრთოების წესების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენს პარტნიორებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ზიანი მიადგეს საწარმოს საქმიანობას. შესაბამისად კორპორატიული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით შევქმენით წინამდებარე შრომის უსაფრთოების პოლიტიკის დოკუმენტი.

## საფრთხის იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრა

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' აცნობიერებს თავის წილ მაღალ პასუხისმგებლობას, რომ სამშაო ადგილებზე მდუმივ რეჟიში წარმოიქმნება საფრთხეები და მათი საკონტროლო ღონისძიებები, სწორედ მმართველობით ელემენტია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ობიექტებზე მუდმივ რეჟიმში წარმოებს შრომის უსაფრთხოების დაცვის შესაბამისობის ანალიზი და ხდება მათი დოკუმენტირება. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით გამოიყენება რისკის მართვის ეტაპები.

## რისკის მართვის ძირითადი ეტაპები:

რისკების შეფასება:

1. საფრთხის იდენტიფიცირება;
2. რისკების შეფასება;
3. რისკის დონის განსაზღვრა;
4. მონაცემების დოკუმენტირება;
5. გადახედვა.

რისკების კონტროლი:

1. საფრთხის აღმოფხვრა;
2. საფრთხის შემცირება;
3. ადამიანების საფრთხესთან პრევენცია
4. შრომის უსაფრთხო სისტემა;
5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

## შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს სტრუქტურული განაწილება

### ა) ორგანიზაციის მმართველი რგოლი ვალდებულია:

- დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა შრომის უსაფრთხოების სფეროში;
- მუდმივ რეჟიმში იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე;

- საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
- გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.
- აწარმოოს სამუშაო პროცესიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება, განახორციელოს მუდმივი კონტროლი.
- შრომის უსაფრთხო პირობების გაუმჯობესებისათვის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობების მოდერნიზაცია.
- თანამშრომელთა შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნის მიზნით სწავლების ორგანიზება;
- შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–ს თანამშრომლებზე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების გაცნობა. ინდივიდუალური და კოლექტიური დამცავი საშუალებების შერჩევა/შეძენა.
- უბედური შემთხვევების  პოტენციური რისკების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება
- უბედური შემთხვევების მოხდენის შემთხვევაში, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან დაუყონებლივი შეტყობინება, მოკვლება, აღირცხვა და ანგარიშგებსი წარმოება
- პროფესიული დაავადებების დადგენის შემთხვევაში, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან დაუყონებლივი შეტყობინება, მოკვლება, აღირცხვა და ანგარიშგების წარმოება
- ორგანიზაციის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნული პოლიტიკის გატარებას და წარმოების თანამშრომლებისაგან მოითხოვს თავიანთ შრომით საქმიანობაში დაიცვან შრომის უსაფრთხოების მოთხოვები.

## ბ) შრომის უსაფრთხოების სამსახური

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–ს ტერიტორიაზე, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას და მართვას ახორციელებს შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც შედგება პეციალისტისაგან. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სამსახური აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და ინსტრუმენტებით. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის / სამსახურის მიერ თავისი მოვალეობების შესასრულებლად შესაფერისი დრო შერჩეულია იმგვარად, რომ  არ ფერხდება სამუშაო პროცესი. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებს აღნიშნული დრო ეთვლებათ სამუშაო დროში და ანაზღაურდება.
შრომის უსაფრთხოების სამსახური/სპეციალისტები ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულს, რომელიც შეეხება:
ა) პროფესიულ რისკებსა და მავნე სამუშაო ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან, და დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას, აგრეთვე მათგან თავის დაცვის მექანიზმებს;

ბ) რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები, და რისკების შედეგების შეფასებას, მათ შორის, დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებს;
გ) საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;
დ) აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია საავადმყოფოში შესვლასთან, იქ ყოფნასთან და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
ე) გარკვეული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებს.

## შრომის უსაფრთხოების სამსახური/სპეციალისტები ახორციელებენ:

- შრომის დაცვის წესებისა და ინსტრუქციების შესრულების კონტროლს;
- სამუშაოთა უსაფრთხო შესრულების კონტროლს:
- შესავალი ინსტრუქტაჟის დროულ ჩატარებას, ასევე სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებისა და სწავლების ჩატარების კონტროლი;
- უბედური შემთხვევის მოკვლევისა და საწარმოო ტრავმატიზმის მიზეზების დადგენის მიზნით ღონისძიებათა გატარებას.
- სამსახურის ხელმძღვანელებზე მიწერილობის გაცემას შრომის უსაფრთხოების წესების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების, მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად.
- სამსახურის ხელმძღვანელების მიერ, დარღვევების იგნორირების შემთხვევაში ზემდგომი ხელმძღვანელის ინფორმირებას;
- სამსახურის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ობიექტებზე სამუშაოების წარმოების შეწყვეტას, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას.
- მუშა-მოსამსახურეების სპეც. ტანსაცმლით და სხვა აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დროულ მომარაგებაზე კონტროლს.
- შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამის კომისიებში, ტრეინინგებში, სწავლებებში და ა.შ. მონაწილეობის მიღება.

- სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება სამუშაოზე არ დაშვებას და ზედამხედველობას უწევენ აღნიშნულ პროცესს.

## შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო’’–ს ხელმძღვანელი

სამუშაოების წარმოებისას, სამსახურ(ებ)ის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია რწმუნებულ ობიექტზებზე შრომის უსაფრთხოების წესების დასვაზე, რისთვისაც მას გააჩნია სათანადო უფლებამოსილება, რესურსები და ადმინისტრაციის მხარდაჭერა, უსაფრთხობის პოლიტიკის პრაქტიკაში განსახორციელებლად.

## შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს ხელმძღვანელების მოვალეობები:

- სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო ინფორმაციის მიწოდება მუშა-მოსამსახურეებზე შრომის უსაფრთხოების შესახებ და საჭიროებისამებრ უზრუნველყოს მათი პროფესიული მომზადება/გადამზადება.
- სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია შეიმუშაოს, ორგანიზება გაუკეთოს და დანერგოს სამუშაო ნორმები (მათ შორის მოწყობილობის შერჩევა), რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის მუშა-მოსამსახურეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
- სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია ინფორმაციის მიღებისთანავე უზრუნველყოს შესაბამისი ზომების მიღება ნაგებობებისა თუ მოწყობილობების გაუმართაობის ან საფრთხის შესახებ. ამგვარ ზომებში შედის, აუცილებლობის შემთხვევაში სამუშაო ობიექტებზე ტექნოლოგიური პროცესების შეწყვეტა ან მოწყობილობების ექსპლუატაციის შეჩერება.
- სამსახურის ხელმძღვანელი უნდა დარწმუნდეს სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაში და მუდმივად უნდა შეამოწმოს მუშა-მოსამსახურეები, დარწმუნდეს, რომ ისინი მუშაობენ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.
- სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია შრომის უსაფრთხოების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების მოთხოვნათა დამრღვევი პირის მიმართ გაატაროს დისციპლინარული პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები.
- სამსახურის ხელმძღვანელი ვალდებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მუშა-მოსამსახურეთა აუცილებელი წინასწარი (სამუშაოს დაწყებისას) და პერიოდული (შრომითი საქმიანობის განმავლობაში) სამედიცინო შემოწმების ორგანიზებაზე.
- სამსახური ხელმძღვანელი ვალდებულია თანამშრომლებზე შრომითი უსაფრთხოების მოთხოვნების შემუშავება/გაცნობზე;

## შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''  განყოფილების უფროსები

განყოფილების უფროსები წარმოადგენენ სამსახურის მნიშვნელოვან რგოლს, რამდენადაც ისინი  არიან სამსახურის ხელმძღვანელების წარმომადგენლები სამუშაო ადგილებში და სამუშაო პროცესების წარმოებისას უშუალო კონტაქტი აქვთ წარმოების მუშა-

მოსამსახურებთან. განყოფილების უფროსებმა უნდა გააცნობიერონ სამუშაოების უსაფრთხოდ და ეფექტურად წარმოების მნიშვნელობა.

- განყოფიელბის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომელთა უსაფრთხოების, სამუშაოების ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისას; მოწყობილობები ექსპლიატაციისას, ინსტრუმენტების, აღჭურვილობისა და დანადგარების გამოყენებისას.

- განყოფილების უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების მოთხოვნების დაცვა.

- განყოფილების უფროსი ვალდებულია შესასრულებელ სამუშაო ობიექტზე არ დაუშვას პირი, რომელიც არღვევს შრომის უსაფრთხოებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების მოთხოვნებს.

- განყოფილების უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლების ინფორმირება სამუშაო ადგილებში შრომის უსაფრთხო პირობებზე და იმ მოსალოდნელ რისკებზე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

- განყოფილების უფროსი ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას, ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლების ინფორმირება სამუშაო ადგილებში შრომის უსაფრთხო პირობებზე და იმ მოსალოდნელ რისკებზე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

- ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას, მაშინ როდესაც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე, განყოფილების უფროსი ვალდებულია სიტუაციის აღმოფხვრამდე შეაჩეროს სამუშაოები. არსებულ სიტუაციაზე მოახდინოს სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმირება.

- სამუშაო ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევის დროს, განყოფილების უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს დაზარალებულის პირველადი დახმარების გაწევა, მის ხელთ არსებული საშუალებებით. (სამედიცინო და სამაშველო ბრიგადების მობილიზება და სხვა.)

## შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს მუშა-მოსამსახურეები (დასაქმებულები)

ორგანიზაციის ფუნქციონირების გადამწყვეტ რგოლს წარმოადგენენ დასაქმებულები. ყველაზე დიდი წილი მათი შრომისა დაკავშირებულია უსაფრთხო სამუშოა გარემოსთან. ამასთან, დასაქმებულიები ვალდებულნი არიან:

- დაიცვან შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები, წესები და ინსტრუქციები;

- სწორად გამოიყენონ და მოუარონ ინდივიდუალურ დამცავ საშუალებებს;

- არ დაუშვან ინდივიდუალური დაცვის საშუალებების განზრახ დაზიანება;

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაზიანების, შეკეთების ან გამოცვლის შესახებ აცნობოს სამსახურის უფროსს.

- გაიარონ სწავლება სამუშაოების შესრულების უსაფრთხო მეთოდებზე და წესებზე, ინდივიდუალური დამცავი საშუალებების სწორ გამოყენებაზე და მოვლაზე.

დაუყოვნებლივ აცნობონ უშუალო
- შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–ს ხელმძღვანელს/ზემდგომს იმ რისკებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუშაო ადგილებზე ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ავარიულ სიტუაციებზე, უბედურ შემთხვევებზე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე.

- თავი შეიკავონ გაუფრთხილებელი და დაუდევარი ქმედებებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ავარია ან უბედური შემთხვევა.

- დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, ზედამხედველი ორგანოს განკარგულებები, მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

- დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;

- თვითნებურად არ გამორთოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები და აღნიშნული მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს;

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;

გაითვალისწინონ, რომ დაუდევარმა ქმედებამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს სამუშაოების შესრულების ხარისხზე და შემსრულებელ სხვა პირზე.
შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–ს თანამშრომლებს კანონმდებლობით ეკისრებათ პასუხისმგებლობა როგორც სხვათა, ასევე საკუთარ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

## სხვა პირები სამუშაო ადგილზე

*(პირი, რომელიც დამსაქმებლის ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, ვიზიტორი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა;)*

*სხვა პირები*, რომლებიც საავადმყოფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, საფრთხის შეცველი სამუშაო პროცესებისგან უნდა იყვნენ იზოლირებულად, აგრეთვე უსაფრთხოების დაცვის მიზნით უნდა იყვნენ ინფორმირებული მათ მიერ განსახორციელებელ ქმედებებზე, რომელთა შესრულებაც ევალებათ. სხვა პირები ვალდებულნი არიან სამუშაო ადგლზე დაშვების მიღებამდე გაიარონ შრომის უსაფრთხოები ზოგადი და სპეციფიური ინსტრუქტაჟი (დაშვების

ადგილის გათვალისწინებით). აღნიშნული სწავლების გავლის გარეშე პირები არ დაიშვებიან ობიექტზე. ასევე, აკრძალულია სხვა პირების ობიექტზე გადაადგილება თანხმლების(ამსაქმებლის/დასაქმებულის) გარეშე.

## ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები

ორგანიზაციის ტერიტორიაზე მოძრავი ყველა პირი ვალდებულია თან იქონიოს და გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: სათვალე, რესპირატორი, სპეც-ჟილეტი, სპეც-ფეხსაცმელი, უნიფორმა.

## შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' –ს ტერიტორიაზე გადაადგილება

ტერიტორიაზე ქვეითად მოსიარულეთა გადაადგილება ხორციელდება უსაფრთხოების წესების დაცვის შესაბამისად. სამუშაოს შესრულების პროცესში, ქვეითად მოსიარულე პერსონალი უნდა იმყოფებოდეს მისთვის განკუთვნილ უსაფრთხო ადგილას.

## საშიში საწარმოო ფაქტორების თავიდან არიდება

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' „მუდმივ რეჟიში აწარმოებს გამოვლენილი დარღვევების ანალიზს და უზრუნველყოფს შემდგომი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებას. ამ მიზნით გამოიყენება არაერთი ღონისძიება.

## შეუსაბამობის მართვა, მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებები

შეუსაბამობის მართვა მოიცავს:

შეუსაბამობის გამოვლენას/იდენტიფიცირებას;

- შეუსაბამობის შეფასებას, მისი კვალიფიკაციის დადგენას;
- შეუსაბამობის რეგისტრაციას;
- შემდგომი ღონისძიებებისათვის გადაწყვეტილების მიღებას;
- განხორციელებული მაკორექტირებელი/პრევენციული ქმედების ეფექტურობის შეფასებას.

ყველა თანამშრომელი, რომელიც ეწევა საქმიანობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვაზე.

დადგენილი შეუსაბამობის ანალიზის მიხედვით ინიშნება მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებები.

ჩვენს

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–ში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეუსაბამობის კვლევას, წარმოშობის მიზეზების დადგენას, აუცილებელი მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებების დანიშვნას, მათი ეფექტურობის შეფასებას, აუცილებლობის შემთხვევაში დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

## ინციდენტის გამოძიება, შეუსაბამობა, მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებები

ორგანიზაციაში პროცესების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა, ან შეცდომები დგინდება:

- თანამშრომელების თვითკონტროლის საშუალებით;
- დადგენილი ანგარიშგების/რეპორტირების საშუალებით;
- მონიტორინგის/ინსპექტირების/შიდა აუდიტის შედეგად;
- მომხმარებლების რეკლამაციების საშუალებით.

## ინციდენტების (უბედური შემთხვევების) გამოძიება

პერსონალს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და ჩართულობა ინციდენტების და საფრთხის ეფექტური გამოძიების და კორექტირება-პრევენციის პროცესში.

ყოველმა გამოძიებამ უნდა გამოავლონოს ვინ? რა? სად? როდის? რატომ?

ინციდენტის გამოძიება მოიცავს ფაქტების, იდეების, ფიზიკური მტკიცებულებების და თანმხლები ინფორმაციის ობიექტურ შეფასებას, მაკორექტირებელ/პრევენციულ ღონისძიებებს შესაძლო მოხდენის ალბათობის და შედეგების გავლენის შემცირებისათვის.

ნებისმიერ ინციდენტის გამოძიებაში ჩართულია დასაქმებული, რომელიც შეესწრო ინციდენტის ფაქტს.

ინციდენტის გამოძიება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ინფორმაციის შეგროვება;
- ანალიზი;
- საკონტროლო ღონისძიებების იდენტიფიცირება;
- გამოსასწორებელი ქმედებების დაგეგმვა.

ინციდენტების ეფექტური გამოძიებისთვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი ელემენტების გადახედვა:

- დავალებები - აქტუალური სამუშაო პროცედურის გადახედვა ინციდენტის დროისთვის;

- მასალები - შესაძლო მიზეზების დადგენის მიზნით გამოყენებული მასალების და დანადგარების შესახებ ინფორმაციის შეკრება;
- გარემო - ფიზიკური გარემოს და გარემოში ცვლილებების და მნიშვნელოვანი ფაქტორების იდენტიფიცირება;
- პერსონალი - ფიზიკური და მენტალური მდგომარეობის დადგენა მათი, ვინც პირდაპირ ჩართულია ამ ინციდენტში. ეს ადამიანების დასჯის გამო არ უნდა მოხდეს, არამედ საჭიროა პერსონალური თავისებურებების გათვალისწინება საწარმოო ტრავმების შესამცირებლად.
- მენეჯმენტი - აქვს, თუ არა მენეჯმენტს ოფიციალური პასუხისმგებლობა სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე. განსაზღვრულია, თუ არა მათი უფლება მოვალეობები ინციდენტების გამოძიების პროცესში.

ინციდენტების გამოძიება დოკუმენტირდება და მტკიცებულებები ინახება. შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

## მონიტორინგი და ანგარიშგება

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგემის მიზნით საავადმყოფოში წარმოებს პეიროდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახური ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკის შემცირების მიზნით განხორციელებული აქტივობების პროცესი, ასევე აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეებსი იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. ინსპექტირების შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

## პირველადი დახმარება

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო'' აცნობიერებს სამუშაოთა სიმძიმესა და მის შესაძლო მავნებლობას დასაქმებულ და სხვა პირებზე, რის საფუძველზეც პროაქტიულ ღონისძიებად განსაზღვრულია სამუშაო სივრცეში სამედიცინო დახმარების პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მუდმივ მონიტორინგს და აფასებს მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში (დაკვირვების ანალიზის საფუძველზე) კი ახორციელებს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით განსაზღვრულ ქმედებებს.

## სწავლებები და პროფესიული მომზადება

შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო''–ს თანამშრომლები მათ შორის ხელმძღვანელები, ვალდებული არიან გაიარონ შესავალი ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოებაზე. ასევე აუცილებლად გაიარონ სწავლება კონკრეტული სპეციალობების მიხედვით ცოდნის შემდგომი შემოწმებით.

ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივი და უსაფრთხოების ტექნიკის წესებს. შესაბამის დოკუმენტზე ხელისმოწერით ადასტურებს გაცნობას. (კანდიდატის პირველადი ბარათი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში).

გარკვეულ თანამდებობზების დასაკავებლად აუცილებელია თანამშრომლებს გააჩნდეთ სახელმწიფო ან სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელიც ადასტსურებს პირის კვალიფიკაციას.

## დისციპლინარული პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოება განუხორციელებადია გარკვეული ტიპის დისციპლინარული პოლიტიკის გატარების გარეშე. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებისთვის აუცილებელია, ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ მოთხოვნების დაცვა.

დისციპლინარული პოლიტიკა გამოყენებული იქნება შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაში.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, მათ შორის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობაზე ამოქმედდება შემდეგი დისციპლინარული სასჯელი:

- საწყის ეტაპზე, დამრღვევი გაფრთხილდება სიტყვიერად.
- მეორე დარღვევა, ფაქტი დაფიქსირდება წერილობითი ფორმით და აღნიშნული დოკუმენტის ასლი ჩაიკვრება დამრღევის პირად საქმეში.
- მესამე დარღვევა, დარღვევის ხარისხიდან გამომდინარე (შრომის უსაფრთხოების წესების იგნორირება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს ტექნიკის, ტექნოლოგიური აღჭურვილობის, ტვირთების დაზიანება) გამოიწვევს დამრღევის დროებით უმუშევრობას ან სამუშაოდან განთავისუფლებას.
- ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც დაარღვევს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს, უფლებამოსილი პირის მიერ ჩამოერთმევა საშვი და დატოვებს ორგანისზაციის ტერიტორიას.

უფლებამოსილ პირად ითვლება თანამშრომელი, რომელსაც ევალება საავადმყოფოს ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნის დაცვაზე კონტროლი.